გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

06 დეკემბერი 2024

N 2-867

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სანი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-6 მუხლებისა და შპს „სანი“-ს 2024 წლის 15 ნოემბრის N34514 წერილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სანი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 436043933) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:
   - 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 4 080 კგ;
   - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 1 060 კგ;
   - R410A (HFC-32/HFC-125) – 1 130კგ;
   - R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 130 კგ.
2. ნებართვა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;
3. შპს „სანი“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სანი“-ს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე